

**სსიპ - კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ პროფესიული
მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ აპლიკანტთა შერჩევისა და
აპლიკანტთა ჩარიცხვის წესით შერჩევის დებულება**

მუხლი 1. რეგულირების სფერო და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე მიღების გამოცხადების წესი

1. ამ დებულების მიზანია განსაზღვროს სსიპ - კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიაში“ (შემდგომში - კოლეჯი) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე აპლიკანტთა შერჩევის წესი და ერთიანი პროცედურა (შემდგომში - წესი).
2. კოლეჯი პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე რეგისტრაციას აცხადებს ღია ან დახურული წესით.

მუხლი 2. ღია წესით აპლიკანტთა შერჩევა

1. აპლიკანტის შერჩევის პროცედურის დაწყების და დასრულების ვადებს კოლეჯის დირექტორი განსაზღვრავს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
2. კოლეჯი ვალდებულია, შერჩევის პროცედურის დაწყებამდე არანაკლებ 3 სამუშაო დღით ადრე, აპლიკანტს მიაწოდოს ინფორმაცია შერჩევის პროცედურის შესახებ, რომელსაც გამოაქვეყნებს კოლეჯის ოფიციალურ ვებ გვერდზე, კოლეჯის სოციალურ ქსელში და აპლიკანტს გაუზიაროს მოკლე ტექსტურ შეტყობინებას რეგისტრაციის დროს მითითებულ ტელეფონის ნომერზე და ელექტრონულ ფოსტაზე.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული ვადის ფარგლებში, კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ქმნის აპლიკანტთა შესარჩევ კომისიას და განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარეს, კომისიის წევრებს და კომისიის მდივანს.
4. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ აპლიკანტთა შერჩევის ფორმატია - ტესტირების შემდეგ მოტივაციური გასაუბრება, ან მხოლოდ მოტივაციური გასაუბრება, ან მხოლოდ ტესტირება.
5. შერჩევის ფორმატს განსაზღვრავს კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
6. აპლიკანტთა შერჩევის უზრუნველსაყოფად, ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად შექმნილი კომისია, ამტკიცებს მოტივაციური გასაუბრების შევითხვებს, ტესტებს, აპლიკანტთა შეფასების, ტესტირების შედეგების და რეიტინგული სიის ფორმებს.
7. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ტესტირების პროცესის დასრულების შემდგომ, აპლიკანტთა მიერ თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში, რეიტინგულ სიაში ადგილს დაიკავებს ის აპლიკანტი, ვინც უფრო მოკლე დროში მოახდინა ტესტირების დასრულება.
8. ტესტირების შემდეგ მოტივაციური გასაუბრების მეთოდით შერჩევისას, ტესტირების პროცესის დასრულების შემდგომ, მოტივაციური გასაუბრების ეტაპზე გადადის ტესტირების შედეგად საუკეთესო შედეგის მქონე ის რაოდენობა აპლიკანტისა რა რაოდენობაც გათვალისწინებულია კონკრეტულ პროგრამაზე მისაღებ მსმენელთა რაოდენობისა (ასეთის შესაძლებლობის შემთხვევაში) და ამ რაოდენობას, ემატება პროგრამაზე მისაღებ მსმენელთა რაოდენობის 40%, რომლებმაც აღნიშნულ აპლიკანტთა შემდგომ, საუკეთესო შედეგი აჩვენეს ტესტირებისას (ასეთის შესაძლებლობის შემთხვევაში).
9. თუ ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული აპლიკანტთა რაოდენობაზე ნაკლები აპლიკანტი გამოცხადდა ტესტირებისას, აპლიკანტთა შერჩევა განხორციელდება ტესტირებაზე გამოცხადებულ აპლიკანტთაგან, მხოლოდ მოტივაციური გასაუბრების მეთოდით.

10. თუ შერჩევის მეთოდად შერჩეულ იქნა ტესტირების შემდეგ მოტივაციური გასაუბრება, ასეთ შემთხვევაში ტესტირების შედეგები წარმოადგენს მხოლოდ მსმენელთა შემდგომ ეტაპზე გადასვლის წინაპირობას. ტესტირების შედეგები არ მოქმედებს მოტივაციური გასაუბრების შეფასებისას.
11. ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად შექმნილი კომისია, შერჩევის დროს მიღებული შეფასების საფუძველზე, რეიტინგულ სიას დასამტკიცებლად წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.
12. ამ დებულებით დადგენილი წესით გათვალისწინებული მოტივაციური გასაუბრების ეტაპზე, თუ აპლიკანტი განაცხადებს უარს სწავლაზე, ის არ ხვდება რეიტინგულ სიაში და ასევე რეიტინგულ სიაში არ ხვდება ის აპლიკანტი ვინც არ გამოცხადდება მოტივაციურ გასაუბრებაზე.
13. ამ მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული პროცედურის დასრულებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, კოლეჯი ელექტრონული სისტემის მეშვეობით, უზრუნველყოფს აპლიკანტისთვის პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მქონე პირის სტატუსის მინიჭებას, აგრეთვე პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მქონე პირის სტატუსის მინიჭების შესახებ ინფორმაციას აცნობებს მოკლე ტექსტური შეტყობინებით მის მიერ რეგისტრაციის დროს მითითებულ ტელეფონის ნომერზე და ელექტრონულ ფოსტაზე.

მუხლი 3. დახურული წესით აპლიკანტთა შერჩევა

1. დახურული წესით აპლიკანტთა რეგისტრაცია ცხადდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც კოლეჯს აქვს ხელშეკრულება სხვა იურიდიულ პირთან ან ადმინისტრაციულ ორგანოსთან, რომლის ფარგლებშიც უზრუნველყოფს პირთა გარკვეული წრის პროფესიულ მომზადება/პროფესიულ გადამზადებას. დახურული წესით აპლიკანტთა რეგისტრაციას ახდენს კოლეჯი.
2. იმ შემთხვევაში, როდესაც რეგისტრირებული აპლიკანტთა რაოდენობა თანაბარია პროგრამაზე წინასწარ განსაზღვრულ მსმენელთა მინიმალურ რაოდენობასთან, ყველა აპლიკანტი შერჩევის პროცედურის გავლის გარეშე, მოიპოვებს მსმენელის სტატუსს.
3. იმ შემთხვევაში, როდესაც რეგისტრირებული აპლიკანტთა რაოდენობა ნაკლებია პროგრამაზე წინასწარ განსაზღვრულ მსმენელთა მინიმალურ რაოდენობაზე და დადებულ ხელშეკრულების თანახმად, მსმენელთა რაოდენობის შევსება არ ხორციელდება ღია კონკურსის წესით, ყველა რეგისტრირებულ აპლიკანტს, შერჩევის პროცედურის გავლის გარეშე, გადამზადების პროგრამის შემთხვევაში ენიჭება მსმენელის სტატუსი.
4. იმ შემთხვევაში, როდესაც რეგისტრირებულ აპლიკანტთა რაოდენობა ნაკლებია პროგრამაზე წინასწარ განსაზღვრულ მსმენელთა რაოდენობასთან და დადებული ხელშეკრულების თანახმად, მსმენელთა რაოდენობის შევსება შესაძლებელია ღია კონკურსის წესით, კოლეჯი უფლებამოსილია გამოაცხადოს ღია კონკურსი და მოახდინოს აპლიკანტთა შერჩევა. ხოლო დახურული წესით რეგისტრირებული ყველა აპლიკანტს, შერჩევის პროცედურის გავლის გარეშე, მიენიჭოს მსმენელის სტატუსი.
5. იმ შემთხვევაში, როდესაც რეგისტრირებული აპლიკანტთა რაოდენობა აჭარბებს პროგრამაზე წინასწარ განსაზღვრულ მსმენელთა რაოდენობას, კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქმნება აპლიკანტთა შესარჩევი კომისია, რომლის შემადგენლობაშიც შედიან კოლეჯის და პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლები.

მუხლი 4. კოლეჯის მიერ ორგანიზებული კონკურსის ფარგლებში წარმოშობილი პრეტენზიების განხილვის წესი

1. კონკურსის ფარგლებში წარმოშობილი პრეტენზიების განხილვის მიზნით, კოლეჯის დირექტორის ბრძანებით იქმნება საპრეტენზიო კომისია არანაკლებ 3 წევრის შემადგენლობით.
2. კონკურსის ფარგლებში წარმოშობილი პრეტენზიების განხილვის მიზნით, აპლიკანტმა წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს საპრეტენზიო კომისიას შედეგების გამოცხადებიდან არაუგვიანეს 1 დღისა.

3. საპრეტენზიო კომისიის მიერ საპრეტენზიო განცხადება განხილული უნდა იქნას მისი წარდგენიდან არაუგვიანეს 1 დღის ვადაში.
4. საპრეტენზიო განცხადებაში უნდა იყოს მკაფიოდ მითითებული პრეტენზიის შინაარსი. წინააღმდეგ შემთხვევაში განცხადება არ განიხილება საპრეტენზიო კომისიის მიერ.
5. საპრეტენზიო კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდეს საკონკურსო კომისიის წევრი, რომელიც მონაწილეობას იღებდა კონკურსში აპლიკანტის ტესტირებისას/მოტივაციური გასაუბრებისას.
6. საპრეტენზიო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება აღნიშნული კომისიის ყველა წევრი.
7. საპრეტენზიო კომისია გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრების ხმათა უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გადანაწილების შემთხვევაში გადაწყვეტია საპრეტენზიო კომისიის თავმჯდომარის ხმა.
8. საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება შესაბამისი კომისიის სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერს საპრეტენზიო კომისიის ყველა წევრი. საპრეტენზიო კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.
9. საპრეტენზიო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შედეგად გამოვლენილი ხარვეზები აისახება შესაბამისი კომისიის სხდომის ოქმში.
10. საპრეტენზიო კომისიის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისთანავე ოქმი წარედგინება კოლეჯის დირექტორს და საბოლოო შედეგები ქვეყნდება წარდგენიდან არაუგვიანეს 1 დღისა.

მუხლი 5. მსმენელის სტატუსის მოპოვება

1. ჩარიცხვის უფლების მქონე პირის მიერ კოლეჯში ჩასარიცხად წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
2. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით, ჩარიცხვის უფლების მქონე პირი ვალდებულია ჩარიცხვის უფლების სტატუსის მინიჭების შესახებ მოკლე ტექსტური შეტყობინების მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, კოლეჯს წარუდგინოს მოთხოვნილი, ჩასარიცხად აუცილებელი ყველა დოკუმენტაცია.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების წარდგენის დღეს, სწავლის დაწყებამდე, კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით რიცხავს ჩარიცხვის უფლების მქონე პირს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე და აფორმებს ჩარიცხვის უფლების მქონე პირთან ხელშეკრულებას (ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ ჩარიცხვის უფლების მქონე პირი არასრულწლოვანი ან შეზღუდულ ქმედუნარიანია მის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან), ჩარიცხვის უფლების მქონე პირისთვის მსმენელის სტატუსის მინიჭება, დასტურდება მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.
4. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით, ჩარიცხვის უფლების მქონე პირის მიერ დადგენილ ვადაში მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის ან ხელშეკრულების გაფორმებაზე უარის შემთხვევაში ჩარიცხვის უფლების მქონე პირი კარგავს ჩარიცხვის უფლებას.
5. მსმენელის სტატუსის მინიჭება, ხელშეკრულების გაფორმება და ელექტრონულ სისტემაში ასახვა ხდება შესაბამის პროგრამაზე სწავლის დაწყებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში.
6. ვაკანტური ადგილების არსებობის შემთხვევაში, მეორადი ჩარიცხვის ვადებს კოლეჯის დირექტორი განსაზღვრავს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
7. ვაკანტური ადგილების არსებობის შემთხვევაში, თუ შერჩევის მეთოდი წარმოადგენს ტესტირების შემდეგ მოტივაციურ გასაუბრებას/ტესტირებას/მოტივაციურ გასაუბრებას, მეორად ჩარიცხვაზე ვაკანტურ ადგილთა შევსების მიზნით, კოლეჯი იწვევს იმ აპლიკანტს/ებს, რომელსაც/რომლებსაც რეიტინგული სიის მიხედვით გააჩნიათ საუკეთესო შედეგი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
8. თუ შერჩევის მეთოდი წარმოადგენს ტესტირების შემდეგ მოტივაციურ გასაუბრებას და ამ მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად მოწვეული საუკეთესო შედეგის მქონე აპლიკანტმა/ებმა არ წარმოადგინა/ნეს

ჩასარიცხად აუცილებელი ყველა დოკუმენტაცია, მოტივაციური გასაუბრებისათვის კოლეჯი იწვევს ვაკანტურ ადგილთა გაორმაგებული აპლიკანტების რაოდენობას (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ვინც ტესტირებისას აჩვენა საუკეთესო შედეგი.

9. ამ მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტებით გათვალისწინებული პროცესი შესაძლებელია გაგრძელდეს მხოლოდ სწავლის დაწყებამდე.

მუხლი 6. პროგრამის განხორციელების შეუძლებლობის ფაქტორები

1. თუ რეგისტრირებულ აპლიკანტთა რაოდენობა ნაკლებია პროგრამაზე ერთი ჯგუფის ფორმირებისათვის წინასწარ განსაზღვრულ მსმენელთა მინიმალურ რაოდენობაზე, აპლიკანტთა შერჩევის პროცედურა არ ხორციელდება.
2. თუ აპლიკანტთა შერჩევის მეთოდად განსაზღვრულია ტესტირების შემდეგ მოტივაციური გასაუბრება ან მხოლოდ ტესტირება ან მხოლოდ მოტივაციური გასაუბრება და შერჩევის პირველ ეტაპზე არ გამოცხადდა აპლიკანტთა ის მინიმალური რაოდენობა რაც გათვალისწინებულია ერთი ჯგუფის ფორმირებისათვის, შესაბამისი პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამა კონკრეტული მიღების ფარგლებში არ განხორციელდება.
3. თუ დოკუმენტების საბოლოოდ წარმოდგენის ვადის გასვლის შემდეგ ვერ შედგა პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მსმენელთა მინიმალური რაოდენობა, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამა კონკრეტული მიღების ფარგლებში არ განხორციელდება.